# კროს ფანტაზია

№ 15(23)

1 ნოემბერი, 1996 წ

ი/ს „ფანტაზიის“ საკროსვორდო-გასართობი გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ ფასი 40 თეთრი






1. სოსისი, სარდელი, ძეხვი... ზოგადად. 2. მდ. ბზიფის მარცხ. შენაკადი გუდაუთასთან. 3. „(რა?) საკვირველი“ — დავით ალმაშენებლის მოღვაწეობიდან. 4. რომან „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟი (მეგრელი) ქალი. 5. ელექტრული ცნება. 6. წვერიანი რკინის კეტი. 7. ცნობილი იტალიელი კინორეჟისორი, ფრანკო... 8. იგივეა, რაც ძალისძალად. 9. სოფელი გორის რ-ნში. 10. დიდი ფასის მქონე. 11. რას ვერ ვუზამთ ხოლმე მძიმე ნივთს? (მიც. ბრ.). 12. საშუალო სიმაღლის ბუჩქი, ისხამს წითელ, წვნიან, ერთკურკიან ნაყოფს. 13. სოფელი ზნაურის რ-ნში. 14. იგივეა, რაც ძლიერ და ინტენსიურად (ვით. ბრ.). 15. გველის მსგავსი უფეხო ქვეწარმავალი. 16. ულონო, სუსტი, დავრდომილი...

17. ვაზის ნასხლავი. 18. უკმაყოფილების გამოთქმის თავისებურება. 19. ერთ-ერთი უმთავრესი ადამიანური მოთხოვნილება. 20. „მეგობრებო (სად-სად) გასწით“-ო? — რა თქვა ირ. ევდოშვილმა ერთ ლექსში. 21. სოფელი მცხეთის რ-ნში. 22. დიდი „აგარაკი“ თბილისის მახლობლად. 23. როგორ იწყება ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“? 24. ღვინის (ან სხვა სითხის) სმის სახეობა. 25. ჩრდილში ამოსული მაღალი და ულონო მცენარე. 26. სოფელი ახალციხის რ-ნში. 27. იგივეა, რაც წრეხაზი. 28. წამახვილებული წვერი. 29. ნახარში (ან მცენარეული) სითხე. 30. ფეხის ნაწილი მუხლის ქვემოთ კოჭამდე. 31. მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალი. 32. ძაღლის ერთ-ერთი აკუსტიკური უნარი.

არ იფიქროთ, რომ ასეთ მშვენიერ ასოზე კროსვორდის აგება ვერ შევძელით... ჩვენი ამ ორთვენახევრიანი ჭაპანწყვეტის შემდეგ უბრალოდ იმდენად გაგვიხარდა ბოლოში ჩასვლა, რომ ესღა დაგვრჩენია, უბრალოდ შევძახოთ:

„ჰოპლა!“

„ჰეფი ენდი!“

„ჰარი-ჰარალე!“

მომავალ შეხვედრამდე... გვიყურეთ უკაცრავად... გვიკითხეთ ჩვენ!

1. ამა თუ იმ ტექსტის (ან მისი ნაწილის) გამოყენება საკუთარ (წერით თუ ზეპირ) ნააზრევში. 2. ქალბატონი ნინო რამიშვილის მთავარი საქმე. 3. რის წადილი, რის მოყვარეობა, რის ფურცელი (და ა. შ.) იცით? (ნათ. ბრ.). 4. კედლის ან სვეტის საყრდენი საძირკველი. 5. ყაზბეგის მოთხრობის პერსონაჟი ქალი. 6. ცნობიერებაში გააზრებული რამ. 7. რომის პოლიტ. მოღვაწე მარკუს ტულიუს... (ძვ. წ. 106-43). 8. ის, ვისაც ცოდვა აქვს ჩადენილი. 9. ფრიალო, დაქანებული... (ანუ?). 10. ჩვენი ტყეების ცნობილი მღრღნელი. 11. ავადმყოფობა, რომელიც ხასიათდება პერიოდული შეტევით (ავადმყოფზე!). 12. საშუალო სიმაღლის ხე ვარდისებრთა ოჯახისა, იკეთებს ქოლგის მაგვარ თეთრ ყვავილებს, ისხამს კაშკაშა წითელ მწკლარტე ნაყოფს. 13. წარმოიდგინეთ ლექსი, სადაც არის სიტყვა „კრემლმა“... მოძებნეთ ამ სიტყვის საუკეთესო რითმა. 14. ძალიან ცივის აღმნიშვნელი ფუძეგაორმაგებული სიტყვა. 15. ვერაგი, მზაკვარი, გაიძვერა. 16. ქათმის ჯიშის ფრინველი, აქვს მუქი ნაცრისფერი, თეთრკოპლებიანი ბუმბული. 17. მდინარის პატარა თევზი. 18. რა უნდა შეაყარო კედელს? 19. როგორ ცულს მოვიტანო... რას ამბობს მელა „იმ“ ლექსში? (მიც. ბრ.). 20. რა არ უნდა ჩაყო სხვის საქმეში? 21. რამ (ანუ რა „მმართველობამ“) ჩამოაყალიბა ლენინის რევოლუციური ბიოგრაფია (მოთხ. ბრ.). 22. მიწისძვრის შედეგად გამოწვეული ზღვის ღელვა. 23. ყოფ. გდრ-ის ქალაქი. 24. სამყაროს (ოთხთაგან) ერთი სტიქია. 25. ხის დიდი კოვზი. 26. იგივეა, რაც ამორტიზირება — (ქართულად). 27. (ქალბატონი) წუწუნავა, ქართველი მსახიობი. 28. ჩვენი ისტორიის ყველაზე დიდი დადიანი. 29. თევზის მთავარი უნარი. 30. ვისზე ფიქრობს ქმარი... სულ... სულ... სულ... (-ზე თანდებული არ დაგავიწყდეთ). 31. როგორი იყო არსენა მარაბდელის პაპა ღვთისავარი (და ხუანის ერთ-ერთი მეგობარიც)? 32. დილის საათებში ციდან ჩამოღვარული წვეთების ერთობლიობა (კომპოზიტი).

1. მდინარე გორისა და ცხინვალის რაიონებში, აძურის მარჯვენა შენაკადი. 2. მყინვარი ყაზბეგის რ-ნში, კავკასიონის ჩრდ. კალთაზე. 3. ჭიკჭიკ-ჟღურტულის მსგავსი ხმიერება. 4. იგივეა, რაც ორთაბრძოლა. 5. მხარ-ბეჭის სახსარი, ფრინველის წინამხარი. 6. ჟინიანი, მიზეზიანი. 7. სოფელი ახალგორის რ-ნში. 8. რით გვამცნობს მერცხალი გაზაფხულს? (მოქმ. ბრ.) 9. ხეხილი ვარდისებრთა ოჯახისა, ისხამს მომრგვალო ყვითელ ან მოწითალო კურკიან ნაყოფს. 10. ორსართულიანი სახლის ზედა სართული (ფშავხევსურეთში). 11. პურეული მცენარე. 12. მური, რომელიც ეფინება რისამე ზედაპირზე. 13. სოფელი ონის რ-ნში. 14. ქუთაისური ანეკდოტების გმირი. 15. ხახვის ერთ-ერთი სახეობა, იშვიათად ყვავის, მრავლდება ბოლქვებით. 16. მცენარეზე წიწვივით შეყინული ორთქლი.

17. პურის მცხობელი. 18. რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი მეკარე ფეხბურთში. 19. იგივეა, რაც ზოგჯერ. 20. მცირე ზომის ბურცი სხეულზე. 21. ხვეული ზოლი რისამე გაშემო. 22. საქართველოს ერთ-ერთი რაიცენტრი. 23. პატარა ხიდი. 24. განწირულ-ჩახლეჩილი ხმიერება. 25. დიდი ქართველი პოლიტიკოსი! 26. კლდიანი ღრმა ხევი. 27. უკრაინის ქალაქი. 28. რამდენშია ერთ-ერთი ნეკი. 29. პატივისცემა, თავაზი. 30. 1996 წ. აგვისტო-ოქტომბრის „საქართველოს ეროვნული გმირი“. 31. მცირე დროის მქონე. 32. № 30-ის „პირადი ადიუტანტი“ ქართული ენის ცოდნის დარგში (იგივე მთარგმნელი).

მსოფლიოს საკროსვორდო პრაქტიკაში აღსრულდა და აღესრულა პირველი კროს-ანბანთქება (იხილე კროს-ფანტაზია № 8-15).

ამიტომაც ვამბობთ:

## მეფე მკვდარია — გაუმარჯოს მეფეს!

ანუ: სულ მალე ცალკე „ფარატინებად“ გამოვა „კროს-ანბანთქვება“ და ყოველი ნომერი, ანბანის მიხედვით, ერთ რომელიმე ქართულ ასოს დაეთმობა. აქვე შევეცდებით თემატური კროსვორდებიც შემოგთავაზოთ და, რაც მთავარია, საკროსვორდო კონკურსი-მარათონიც წამოვიწყოთ...

დაელოდეთ „ანბანთქება“ № ა-ს.

1. (აწ ჩვენი მისაბაძი) დასავლური მუსიკის „სახელი“ ამ მუსიკის არმაღიარებელთა ენაზე (შეადარეთ — ბაგაბუგი). 2. ცნობილი ქართველოლოგი (ბატონი) კაშია. 3. თხის ბეწვისაგან რის ქსოვილს ქსოვენ? (ნათ. ბრ.) 4. (ბატონი) ალხასტაისძე — ვაჟას ერთი პოემიდან. 5. ცნობილი ქართველი თურქოლოგი, ბატონი სერგი... 6. რა სიტყვა მოსდევს მსაზღვრელებს — ფარისებრი და სარძევე? 7. (კროსვორდისტის იღბალი რა ვთქვა, თორემ კაცს ახლა როგორღა გაახსენდებოდა) 80-იანი წწ. ბაქოს „ნეფთჩის“ თავდამსხმელი (?!). 8. აი, 50-იანი წწ. თბილისელი კალათბურთელი კი უნდა გვახსოვდეს! 9. ვარსქენის ძმაზედ რას იტყვით, რა ერქვა? 10. აი, შუშანიკს კი მწუხარების თუ ბოლმის „ეს“ სახესხვაობა ნამდვილად არ აკლდა. 11. იგივეა, რაც კუნძი. 12. საშუალო ზომის ხე; იკეთებს თეთრ, საგველებად თავმოყრილ ყვავილებს (ყველაზე ძვირი მწნილი). 13. ჯვრის ფორმისა, ანუ... (სხვათა შორის, გაკრთა აზრი, რომ კროსვორდს ქართულად ეს სიტყვა ეწოდოს). 14. მდ. ოჩამჩირის რაიონში. 15. ბრექვა-ტყლარჭვის სინონიმი. 16. პურეულის აღმონაცენი. 17. იგივეა, რაც ჭენებაში შეჯიბრი. 18. ინდოეთის „ტყის ზოლი“. 19. თანამედროვე ქართველი პოეტი, მურმანი. 20. ახმეტის რნ-ის სოფელი. 21. მდინარე ლანჩხუთის რ-ნში. 22. სოფელი ოჩამჩირის რ-ნში. 23. იგივეა, რაც ჩლუნგი, ბლაგვი. 24. (სენიორ) ბოკაჩო, „დეკამერონის“ ავტორი. 25. რით ატარებს პატიმარი ციხეში დროს? (მოქ. ბრ.). 26. სურვილი ვინმესთვის რამეში ჯობნისა. 27. „მონალიზას“ მეორე სახელი. 28. პატარა დანა. 29. (მისის) რობერტსი, ამერიკელი კინომსახიობი. 30. რკინის ნაგავი. 31. „კაი ბიჭებზე“ კიდევ როგორ იტყვიან თბილისში, (როგორი) ბიჭიაო. 32. სოფელი ონის რ-ნში.





# ᲐᲘ, ᲠᲘᲗ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲐᲜ „ᲬᲧᲔᲣᲚᲘ“ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ!

### „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲕᲘᲠᲘ“

ასეთი ჯილდო დააწესეს ბელგიელმა ჟურნალისტებმა წლის ყველაზე ბრიყვული პუბლიკაციისა და მკითხველთა ასეთივე გამოხმაურებისათვის, მაგრამ საქმეში ჩაერია ცხოველთა დაცვის საზოგადოება, რომლის-პრეზიდენტმა მკაცრად გაილაშქრა აღნიშნული ჯილდოსადმი და განაცხადა: „ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიული გამოცდილება გვარწმუნებს იმაში, რომ ვირი ყოველთვის მაღალი გონიერებისა და ღირსების არსება იყო...“ ასე რომ, მკრეხელობაა ბრიყვი ჟურნალისტის ნაჯღაბნის ასოცირება ვირის სიბრძნესთან.

### „ᲞᲐᲠᲚᲔ ᲕᲣ ᲤᲠᲐᲜᲡᲔ?“

ყოველი ერი ამაყობს საკუთარი ენით!

ფრანგებმა ამ სიამაყეს ფინანსური საფუძველიც მოუძებნეს: პარიზის ერთ-ერთ რესტორანში გაჩნდა ასეთი წარწერა: „იმ უცხოელებს, რომლებიც ფრანგულ ენაზე დაგვიკვეთენ სადილს, მიეცემათ 10 პროცენტი დათმობა“.

### ᲛᲝᲘᲞᲐᲠᲔᲗ, ᲒᲔᲗᲐᲧᲕᲐ!

სტოკჰოლმელ ანდრეს ორიეს 11-ჯერ მოჰპარეს ავტომანქანა და ყოველთვის, როცა პოლიცია უბრუნებდა ანდერსს მის კუთვნილ „ვოლვოს“, პატრონი მანქანაში ქურდების მიერ დავიწყებულ ნივთებს (კონიაკი, ლუდი, სტერეომაგნიტოფონი) პოულობდა. ეს იყო მისი მორალური კომპენსაცია, ამიტომაც წააწერა „იღბლიანმა“ შვედმა თავის ავტომობილს „მოიპარეთ, გეთაყვა, ჩემი „ვოლვო!“ ბუენოს-აირესში კი ერთ (არგენტინელ) მოქალაქეს მოჰპარეს ავტომანქანა, რომელიც პოლიციამ 21 წლის შემდეგ იპოვა, როცა ამ ავტომობილის ფასი, როგორც ანტიკვარისა, 20-ჯერ გაიზარდა.

### ᲛᲔᲚᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

ასეთი კონგრესი გაიმართა ქალაქ სენ-სავენში. მასში მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის, შვეიცარიის, იტალიის და სხვა ქვეყნების ასობით მელოტმა (კაცმა). დიდი დებატების და მრავალჯერადი აზომვების შემდეგ „მელოტთა მეფის“ ტიტული მიიღო ვინმე კლებერ გალომ. მისი თავის უთმო სივრცემ 384 კვ. სანტიმეტრი შეადგინა.

### ᲒᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ

არსებობს ლეგენდა იმის შესახებ, რომ ბერძნულ ქალაქ სირაკუსეზე რომაელთა თავდასხმისას არქიმედემ რაღაც „დამფერფლავი“ სხივების საშუალებით მთლიანად გადაწვა მოწინააღმდეგის ფლოტი. ამგვარი რამ, რა თქმა უნდა, არარეალურად მიაჩნდათ მეცნიერებს და ამას ასაბუთებდნენ იმით, რომ მზის მწველი ათინათის მისაღებად, ანუ მძლავრი ენერგიის გამოსასხივებლის შესაქმნელად, არქიმედეს დასჭირდებოდა უზარმაზარი სარკის დამზადება, რაც არანაირ ამქვეყნიურ ჩარჩოებში არ ჩაეტეოდა.

დამუშავდა ასეთი ვერსიაც: ბერძენმა მეცნიერმა რომაელთა ხომალდების დასაწვავად მზის ამრეკლავი მრავალი მოლაპლაპე საგანი გამოიყენა და მათი ფოკუსირება მოახდინა მტრის არმადის ცალკეულ ერთეულებზე.

ამ უკანასკნელი ჰიპოთეზის გასამართლებლად თანამედროვე ბერძენმა მეცნიერმა იოანის საკასმა შემდეგი ექსპერიმენტი ჩაატარა:

დაამზადეს კარგად გაპრიალებული სპილენძის ასიოდე ფარი, 1,5 მეტრის სიმაღლით და 1 მეტრის სიგანით, ზაფხულის მზიან დღეს, ათენის მახლობლად, აღნიშნული ფარებით აღჭურვილი „მეომართა“ წყება დააყენეს და ბუქსირით ზღვაში შეაცურეს რომაელთა ხომალდის მსგავსი ხის გემი... საკასის სიგნალის შესაბამისად, მისმა სამოცდაათმა ასისტენტმა ფარების საშუალებით მზის ათინათი „რომაელთა“ ხომალდისაკენ გაგზავნა და როცა 70-ივე სხივი ერთ კონად შეიკრა, სულ რაღაც 2-3 წამში გემბანზე ალი ავარდა და მთელი ხომალდი ცეცხლში გაეხვია.

### ᲑᲘᲚ ᲙᲚᲘᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲨᲘ

ეს ვენახი კუნძულ ვაინიარდზე მდებარეობს, თავად ვაინიარდი კი ახალ ინგლისშია განლაგებული, კეიპ კოდის კონცხის სამხრეთით და, რა თქმა უნდა, აშშ-ს შემადგენლობაში შედის; იქვე მეორე კუნძულიცაა — ნენტაკეტი — რომელიც ვაინიარდთან ერთად მსოფლიოს ყველაზე უცნაურ კურორტად ითვლება. აქ არც ღამის დანსინგებია, არც „დისნეილენდები“, არც ცათამბჯენი სასტუმროები და აქ „ა-ლა-ჰავაის“ სტილში აგებული ულტრათანამედროვე ვილები, თუმცა არც ამერიკის საზოგადოების ელიტა ისვენებს და მათ შორის ქვეყნის პრეზიდენტი ბილ კლინტონიც!

ვაინიარდი და ნენტაკეტი ატლანტიკაში „ჩაკარგული“ კუნძულებია, სადაც სულ ერთი საუკუნის წინ ვეშაპთა ხოცვისა და რეწვის ერთ-ერთი ცენტრი იყო განლაგებული, ამჟამად კი ველურკაპიტანთა „სავანეს“ მანჰეტენელი ადვოკატები და ბოსტონელი ბიზნესმენები ეპატრონებიან, რომელთაც, მოდის აყოლისა თუ სხვა რამ მიმბაძველობის გამო, აქაური სოფლური იდილია მონტე კარლოსა და მაიამის ღრეობებს ურჩევნიათ — აქ ხომ თავად კლინტონის მიერ „აკვნესებული“ საქსაფონის ჰანგები შეგიძლიათ მოისმინოთ და თანაც სრულ სიმყუდროვეში, საყვარელი ადამიანის გვერდით — ხომ კარგია?

„ვაინიარდელები“, როგორც წესი, დრო-ჟამისაგან ჩაშავებულ ხის სახლებში ატარებენ არდადეგებს, სადღაც მდელოების სიღრმეში რომაა აგებული; ამგვარ „ბუდეებში“ უყვართ ჟღურტული მთელი წლის შრომისაგან ლიმონივით გამოწურულ „წყეულ კაპიტალისტებს“ და იმასაც კი აკონტროლებენ, რომ ამ პატრიარქალურ ყოფაში არანაირად არ შემოიჭრას ე. წ. „ამერიკული ცხოვრების წესი“, თუ არ ჩავთვლით ვენახის ბოლოში მოყუჩებულ კადილაკსა და დიდ მუხებზე ჩამოკიდულ კოსმოსური კავშირის თეფშებს — ირგვლივ არც „სუპერმარკეტებია“, არც „მაკდონალდები“ და არც „ “ -ის ლუდხანები; არის ორიოდე რესტორანი სადაც შეგიძლიათ მიირთვათ ზღვის კომბოსტო, მოლუსკების წვნიანი, შემწვარი კიბორჩხალები და სხვა საზღვაო ნობათები, ღვინო კი მართლაც ჩინებულია — ადგილობრივი რქაწითელი- ნუ გაიკვირვებთ: „ვაინიარდი“ () სიტყვასიტყვით ღვინის ეზოს ნიშნავს, რასაც ჩვენებურად „ვენახი“ ჰქვია.

# ᲰᲘᲜᲓᲘ ᲔᲜᲐ

## (1-ᲚᲘ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ)

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲮᲡᲝᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜᲡ ᲡᲞᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ (ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ) ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲗ. ᲐᲮᲚᲐ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ „ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲐ“ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲬᲧᲝᲗ, ᲛᲝᲠᲘᲒᲘ „ᲔᲒᲖᲝᲢᲘᲙᲣᲠᲘ“ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲕᲣᲓᲒᲔᲗ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲕᲘᲥᲝᲜᲘᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ...

თითქმის ყოველ აღმოსავლურ ენას ერთი რამ ახასიათებს: მათ გრძელი და მოკლე ხმოვნები გააჩნიათ და ეს „სიგრძე-სიმოკლე“ სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას ცვლის.

ჰინდი ენაშიც გვაქვს მოკლე და გრძელი „ა“, ასეთივე „ი“ და „უ“. დღეს ამ ექვსი ბგერის გრაფიკულ გამოხატულებას შევისწავლით.

1) მოკლე ა

ეს ხმოვანი მახვილის ქვეშ ძალზე სწრაფად წარმოითქმის, უმახვილოდ კი უფრო გამოიკვეთება მისი ჟღერა, თუმცა ზოგ შემთხვევაში საერთოდ იკუმშება და სიტყვის წარმოთქმისას მისი კვალიც კი ქრება. ეს ისე ზოგადად... ჩვენ ხომ მხოლოდ დამწერლობა გვაინტერესებს, აი, ისიც, მოკლე „ა“.

(ისრებით მითითებულია ასოს მოხაზვის თანამიმდევრობა).

გთავაზობთ „ა“-ს მეორე,

ბეჭდურ ვარიანტს: अ

ეს კი ხელნაწერია



2) გრძელი „ა“

ეს ხმოვანი გარკვევით, ხანგრძლივი ინტონაციით უნდა გამოითქვას, წერისას კი ერთი „ჯოხი“ ემატება უკვე შესწავლილ მოკლე „ა“-ს და ხმოვანიც დაგრძელდება:



3) მოლკე „ი“

ეს ხმოვანი ანკესზე ჩამოკონწიალებულ ჭიას ჰგავს, ჯერ ჰორიზონტალური ხაზი გააყოლეთ, მერე და „ჭიაც“ ჩამოჰკიდეთ:



4) გრძელი „ი“

წარმოთქმისას ინტონაცია იწელება (შეადარეთ: მიწვევს — მიიწევს; ჩვენ, ქართველებს, ამ გრძელი ხმოვნების არქონის გამო, გვეპატიება უცხო ენების შესწავლისას ორმაგი ხმოვნების წარმოთქმა). დაწერისას კი „ჭიას“ თავზე კაუჭი სჭირდება.



5) მოკლე „უ“

ეს ასო ჩვენს „ვ“ წააგავს, ოღონდ თავი უნდა წავაკვეთოთ ჰორიზონტალური „ჯოხით“.



6) გრძელი „უ“

(გურულებმა იციან ხოლმე თქმა: გუუშვი, გუუფუჭდა და ა. შ.) თავისი მოკლე „ძმისაგან“ განსხვავებით გრძელ „უ“-ს მარჯვნივ დოინჯით შემოდებული კაუჭი სჭირდება.



დღეს შემოთავაზებული ასოების ასეთი მოხაზულობა იხმარება მხოლოდ სიტყვის დასაწყისში ან ხმოვნების შემდეგ, ანუ მარცვლის დაწყებისას.

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

(1-ლი გვ.)

ზემოთა კროსვორდი

1. კოკობო; 2. ულვაში; 3. პადუა; — პინოქიო; 4; დონიცეტი; 5. ალადინი; 6. სკოპლე; 7. ბრინჯი; 8. დოვლათი; 9. ლასკერი; 10. ნინძა; 11. ჰორაციო; 12. დესპანი; 13. ქაცვი; 14. კომიქსი; — კანტარე; 15. მექსიკა; 16 სკანავი; 17. ნიგერია; 18. იაპონია; 19. როქსანა; 20. არბიტრი; 21. კოსტაია; 22. ტასმანია; 23. ნიგერია; 23. გროტესკი; 24. სხვიტორი; 25. ვლაჰეთი; 26. ლამარია; 27. თბილისი; 28. ეპარქია; 29. პილოტი; 30. რონინი; 31. ბაგრატი; 32. რაპიდი; 33. ტიროლი; 34. მჯიღი; 35. კლინკა; 36. ლამპარი; 37. რიონი; 38. ატენური; 39. სარდალი; 40. ანისი;

„მარცხენა კროსვორდი“

1. ბიალკო; 2. ათლეტი; 3. ქიმია; — ქებურია; 4. მარტორქა; 5. აგარაკი; 6. მარაბუ; 7. სტრიპი; 8. კირთაძე; 9. გარანტი; 10. ბურდა; 11. ილიესკუ; 12. რელიგია; 13. რჩოლა; 14. კოლინზი; — კანტონა; 15. ლისტევი; 16. ზბრუევი; 17. კლაუდია; 18. ლატარია; 19. დიორმა; 20. არგიში; 21. ბარქაია; 22. ტოტალური; 23. ტრავერსი; 24. ერგასი; 25. ვლასოვი; 26. ლატარია; 27. ვრუბელი; 28. ავიაცია; 30. არაქსი; 31. რადიანი; 32. ინტერი; 33. ნონეტი; 34. ტურკუ; 35. ონდატრა; 36. ბარტონი; 37. ნუარე; 38. ხრესილი; 39. ლიბრეტო; 40. აპისი;

„მარჯვენა კროსვორდი“

1. ფიორდი; 2. კვამლი; 3. მაკაო; — მესონიე; 4. კასიოპეა; 5. ოსირისი; 6. 6. ჩოხელი; 7. მისტერ; 8. კიკვიძე; 9. სალობიე; 10. სუსხი; 11; კრომიკო; 12. რობერტო; 13. ნეონი; 14. პირიეკი; — პოპესკუ; 15. რიფსიმე; 16. ვიტორიო; 17. სტაიერი; 18. ტაფალია; 19. ევკლიდე; 20. იმპორტი; 21 ივრება; 22. ელსინორი; 23. აკაპულკო; 24. ტრიოლეტი; 25. იბარური; 26. ბიჭიკა; 27. რიაზანი; 28. ურენგოი; 29. რამსეი; 30. იბარური; 32. ვიდოვკი; 33. ტიკინა; 34. ჭროლა; 35. ამირანი; 36. ზანდუკი; 37. კრეტა; 38. ჰენდელი; 39. ნირვანა; 40. ალიბი;

„ქვემოთა კროვორდი (№ 14)“

თარაზულად: 1. ვოლგა; 4. ბირმა; 7. სკორე; 9. ურიკა; 11. ოსაკა; 12. მტილი; 13. ნისია; 15. იასპი; 17. ილეთი; 18. ირანი. შვეულად: 1. ვისკონტი; 2. ლვო; 3. ატესტატი; 4. ბრუკლინი. რეი; 6. ანალგინი; 8. რომი; 10. რაია; 14. სკე; 16. სპა; (შარადები). 1. სტაფილო; 2. სტანიცა3. ატამანი; 4. ანისული; 5. ატატება; 6. ამირანი; 7. (თარ.) მარტენი; — (შვ.) მილიონი; 8. მოლიერი; 9. სფინქსი; 10. ლაკმუსი; 15. ანტალია; 16. გარნირი; 17. (თარ.) ანალიზი; — (შვ.) არიზონა; 18. ლებარდე; 19. ზარმაცი; 20. ინდაური; 21. კარნიზი; 22. (თარ). ვიტრინა; — (შვ.) ვიოლინო; 23. არმენია; 24. (თარ.) სიცილია; — (შვ.) სტატორი; 25. ციკლონი; 26. არტერია; 27. რეიგანი; 28. ასურეთი; 29. ლანსერე; 30. სტალინი; 31. ნიაგარა; 32. ნესტანი; 33. ორინოკო; 34. ამანათი;

(მე-3 გვ.)

სერია „ღ“

1. ღებინება; 2. ღაღანიძე; 3. ღვარცოფი; 4. ღერღილი; 5. ღვინჯუა; 6. ღავლავი; 7. ღანძილი; 8. ღოღვა; 9. ღიმილი; 10. ღანირი; 11. ღრიალი; 12. ღლიღვი; 13. ღრჭიალი; 14. ღაბაბა; 15. ღილინით; 16. ღვინია; 17. ღინღლი;

სერია „ყ“

1. ყაჩაღანა; 2.ყინწვისი; 3. ყრუმუნჯი; 4. ყარყატი; 5. ყვირილა; 6. ყელ-ყური; 7. ყალმუხი; 8. ყანწი; 9. ყარიბი; 10. ყალიბი; 11. ყამარი; 12. ყალყზე; 13. ყასიდად; 14. ყაზარმა; 15. ყირიმის; 16. ყანდის; 17. ყეყეჩი.

სერია „შ“

1. შვილოსან; 2. შირმა; 3. შრიალა; 4. შტერნი; 5. შველი; 6. შლამიანი; 7. შვეიცარი; 8. შტურვალი; 9. შაგანე; 10. შლამი; 11. შლეიმი; 12.შლიგინი; 13. შტრაუსი; 14. შანდორი; 15. შაპიტო; 16. შამანი; 17. შლანგი; 18. შმიდტი; 19. შარახევი; 20. შილერი; 21. შტურმანი; 22. შამისო; 23. შრიფტი; 24. შოფერი; 25. შლეიფი; 26. შმონი; 27. შორეული; 28. შარია; 29. შხამი; 30. შარმი; 31; შვანგერი; 32; შფოთიანი.

სერია „ჩ“

1. ჩხრიმალი; 2. ჩლიქი; 3. ჩიჟაჟა; 4. ჩათახი; 5. ჩაუქი; 6. ჩვენიანი; 7. ჩხვლეტია; 8. ჩადაევი; 9. ჩოჩარა; 10. ჩირქი; 11. ჩქონი; 12. ჩუხჩუხი; 13. ჩარდახი; 14. ჩახმახი; 15. ჩლექას; 16. ჩაჩანი; 17. ჩადგმა; 18. ჩექმას; 19. ჩაბალახი; 20. ჩაქუჩი; 21. ჩიკვაიძე; 22. ჩანახი; 23. ჩხორია; 24. ჩინარი; 25. ჩიბუხი; 26. ჩვენი; 27. ჩიტუნია; 28. ჩაქვი; 29. ჩლავი; 30. ჩალად; 31. ჩხუნდერი; 32. ჩხიკვაძე.

(მე-4 გვ. „გიგანტი“)

თარაზულად: 1. გადასასვლელი; 12. შტემპელი; 19. უმარილო; 20. ლუანდა; 22. ნაუტილუსი; 23. გული; 24. ალუმინი; 25. რვაგზის; 26. ნაფოტი; 27. ურიცხვი; 28. ჩოჩარა; 29. საბანი; 30. შილიფად; 31. მიქელანჯელო; 33. რულონი; 36. ლიბერია; 37. ბასტია; 41. ჰიროსიმა; 43. ოდა; 44. დოგმა; 45. ლიეჟი; 48. ილორინი; 49. აჭარა; 52. იორკი; 53. იუბილე; 55. ივიკო; 58. უბირი; 59. რარიტეტი; 60. აფთარი; 61. ლემი; 62. გეგმა; 65. აბა; 67. კატანია; 68. ქსენონი; 71. ტოტლებენი; 73. ელვის; 75. აპლოდისმენტები; 76. დუროვი; 78. აკის; 80. სოციალური; 81. უნიათო; 82. სირია; 85. რკინა; 87. აჩი; 89. ნონ; 90. კაი; 91. ზაქი; 93. კირასირი; 94. სინი; 95. რეტი; 97. საიქიო; 98. გომეში; 99. ანუ; 100. ელასტიური; 106. შრე; 108. ცირკი; 111. პირანდელო; 113. სვია; 114. სიათა; 115. სიმბიოზი; 118. მაიორი; 119. დოსტი; 120. ვიზა; 121. ცოტნე; 122. პლევრა; 123. კენედი; 125. ციკლი; 126. ბლეფი; 127. ხაიკუ; 129. ალილო; 130. ილიე; 132. რური; 133. მიზეზი; 135. ქისა; 136. ანთოკი; 139. ომი; 140. ალეგორია; 143. ანდორა; 144. სართული; 147. ალიტერაცია; 149. გრაალი; 151. სარო; 152. შლიმანი; 153. ხოფა; 154. კრინტი; 155. ქსენინი; 157. ალი; 159. ლაგოსი; 160. რენა; 161. მარსო; 163. მექსიკური; 165. ოპიზარი; 166. ლიონიას; 167. ოვა; 169. კომლი; 170. ჰობოი; 174. რქამ; 176. ტვინი; 177. თარო; 178. ავანდასტა; 180. რიდი; 181. ჯარიმა; 182. რეპრესია; 183. რეკლამა; 187. ფატი; 189. ლიბია; 190. აჯანყება; 192. მინდია; 193. მრთელი; 194. ტურანდოტი; 195. ისპ; 196. ლილი; 197. იარისლავლი;

შვეულად: 1. გუგუშვილი; 2, ამური. 3. დალილავება; 4. არიცია; 5. ბალავარი; 6. სოლიდური; 7. ლომონოსოვი; 8. ელია; 9. ილიჩი; 10. მარჩელო; 11. ინვალიდი; 12. შაგანე; 13. ენისეი; 14. მასალა; 15. ეტნა; 16. ლიანდაგი; 17. ილფი; 18. ოსტატი; 21.; დარაბა: 31. მიმიკა; 32. ჯრუჭულა; 34. ლოლიტა; 35. ნირი. 38. სმოლენსკი; 39. ტარიგი; 40. აპენინა; 41. ჰილი; 42. ანოფელისი; 44. დარიალი; 46. იურისპრუდენცია; 47. ჟირინოვსკი; 50. აბე; 51. რიმკევიჩი; 54. ეტენი; 56. ჰაუბიცა; 57. ფიანდაზი; 62. გაიანე; 63. მარათონი; 64. მონარქია; 66. მიულერი; 68. ქანდარა; 69. ოდოია; 70. ისლი; 71. ტერ; 72. ებონიტი; 74. თსონი; 77. ორასი; 79. იანიშევსკი; 83. რისკი; 84. აზიელი; 86. კიოსკი; 88. ირგვლივ; 92. აქლემი; 93. კერი; 94. სერსო; 96. ტუია; 101. ტროცკი; 102. იუპიტერი; 103. ირმები; 104. კნიპერი; 105. პრერია; 107. მაიმუნი; 109. რთველი; 110. კაიფოზიური; 112. დოლფუსი; 114. სტრატოსფერო; 115. სადიზმი; 116. ბუცეფალი; 117. ზოლინგენი; 119. დახუნდარა; 123. კიმ ირ სენი; 124. ილია; 128. კოკა; 131. ტურა; 134. იორი; 135. ქაიხოსრო; 136. ანაკლია; 137. თოლიგე; 138. ორინოკო; 141. ლიმასოლი; 142. ეტალონი; 145. თანაზიარი; 146. ლონდრე; 147. ალკალოიდები; 148. აომინი; 149. გაბუ; 150. ხიიგატა; 156. სეპარატორი; 158. რესორი; 162. რიმნიკი; 163. მაჰარაჯა; 164. როკაპი; 168. ვიტალი; 169. კვირიკე; 171. ბომონდი; 172. ივეტა; 173. ედერი; 175. მორალი; 177. თამარი; 178. არაბია; 179. ასუნტა; 184. ვითა; 186. ლატი; 187. ფეტი; 188. იაქი; 191. ანა; 182. მის; (პლიუსით შეერთებული სიტყვები) 1. მაკრატელი; 2. ტიურინგია; 3. გარანტია; 4. ტრაქტორი; 5. სტადიონი; 6. ალეგორია.

(ორი გასართობის საშუალება). 1456 X 5859 = 8530704. 5756814 : 45889 = 126.

ეს სიტყვები თარგმნეთ ინგლისურ ენაზე და შეავსეთ კროსვორდი. 1. ჯადოქრობა. 2. მსახური. 3. ჟურნალი. 4. წესჩვეულება, საწესჩვეულებო. 5. შთამომავლობა, ჯიში, მოდგმა. 6. სახელი. 7. წამწამი. 8. დიასახლისი. 9. მოხეტიალე, მაწანწარა, მწირი. 10. ავტოფარეხი. 11. კიტრი. 12. სიცილი, ხარისხი. 13. განცხადების მოთავსება. 14. კლასიკური. 15. უშიშროება, უსაფრთხოება. 16. სარგებელი, გამორჩენა. 17. უმიწაწყალო, უადგილმამულო. 18. კარაქი. 19. ლათ. ამერიკის სახელმწიფო. 20. (თარ) იგი (მამრ. სქესი) (შვ.) სპილენძი, სპილენძის ფული. 21. მარჯანი. 22. კისერი. 23. რეკვა, წკრიალი. 24. წვრილი სანთელი, სუსტი სინათლე. 25. ავეჯი. 26. პატივისცემა, რიდი, მოწიწება. 27. დეპეშა.





ეს სიტყვები თარგმნეთ რუსულ ენაზე და შეავსეთ კროსვორდი: 1. ზიზღი, ზიზღიანობა. 2. დოყლაპიობა. 3. გადადგომა. 4. კომში. 5. ბუკი. 6. ჩირქოვანა. 7. ვერცხლისწყლის. 8. ბუტბუტი, ლუღლუღი. 9. (ზოოლ.) ღორიხვა. 10. ფარეხი; 11. (თარ.) სისრულე — (შვ.) ხუთწლედი; 12. ბუნება, არსი. 13. ბალახისმჭამელი. 14. კურტუმი. 15. ნუსხა, სია. 16. ძიძა. 17. გამოხატვა. 18. ერთობა. 19. ზედმეტი. 20. ცთომილი. 21. ვინმე, ვილაც. 22. ქარვა. 23. ანთება. 24. შენადნობი. 25. ერბოკვერცხის სახეობა. 26. (თარ). ცივი ჰაერის მასა — (შვ.) ნაკვეთური. 27 მადანი. 28. (თარ.) თვალი — (შვ.) ზამბახი. 29. ტახტრევანი; 30. დაბალი განვითარების არსება. 31. კავი. 32. მეძავებით „მოვაჭრე“. 33. შვილოსან (მოფერ.) 34. დედალი ფარშევანგი. 35. მინა.

## ამერიკული კროსვორდი



ასეთი სახის კროსვორდებში, როგორც წესი, არც ციფრები წერია და არც სიტყვათშორისი ტიხარია აღნიშნული, მაგრამ ჩვენ ერთიც გავაკეთეთ და მეორეც, რადგან, სხვა ამერიკული ცნებებისაგან განსხვავებით, „ემერიკან კროსვორდი" რატომღაც მიუღებელი აღმოჩნდა ჩვენი მკითხველებისათვის (იხილე კრ.-ფან". №1). ამ ამერიკული თხზულების თავისებურება კი ის გახლავთ, რომ სიტყვებს შავი უჯრების ნაცვლად ტიხარები ყოფს და ეს ბევრად მეტი საკროსვორდო ერთეულის კონცენტრირების საშუალებას იძლევა „კროსვორდის კვადრატში".

**თარაზულად:** 1. მდინარე აშშ-ს დასავლეთით; 8. იგივეა, რაც ძღვენი; 16. ქალაქი პენსილვანიის შტატში, აშშ; 18. ქალაქი ნიკარაგუაში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე; 19. სამხედრო გაერთიანება; 20. ბანქოს თამაშის სახეობა; 21. მეფის მხარდამჭერი, ანუ... 22. იგივეა, რაც ხალხი; 23. (ქალბატონი) ლოლობერიძე; 24. ბავშვების საყვარელი სიტყვა; 25. ქართული ანბანის ასო; 26. ზმნისწინი; 27. მუსიკოსი; 30. ქართველი მწერალი და ისტორიკოსი; 31. ციმბირის ავტონომიური რესპუბლიკა; 33. უდრეკი, მკვრივი და ა.შ. 35. ჰაერის მასის გადაადგილება; 36. ქართული ანბანის ასო; 37. იაპონელი მეომარი; 38. საყოფაცხოვრებო ნივთი; 39. წონის ერთეული; 42. გველი; 43. (სერ) მეტიუზი, ინგლისელი ფეხბურთელი; 44. რიანია ხოლმე ძველი პური? 46. ტაბლეტი; 47. ფირდოუსის „შაჰნამეს" პერსონაჟი (ნუ გეშინიათ, თავისით ჩაიწერება!); 49. დიდებული ქართველი მოჭიდავე, ბატონი რომანი; 50. ავტოსპორტის სახეობა; 53. იები და ვარდები; 55. ამერიკაში მობინადრე ეგზოტიკური ძუძუმწოვარა ცხოველი; 57. გერმანელი საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობარი; 60. ტომობრივი ან ეთნიკური სეპარატიზმი საზოგადოებაში; 62. დიდი ბერძენ-ესპანელი მხატვარი; 63. ლურჯი საღებავი; 66. ლოცვათა დასკვნითი სიტყვა; 67. წყალსატევი; 69. უარყოფითი სიტყვა; 70. საბერძნეთი; 71. სპორტული ავტომობილი; 74. აღმოსავლეთის უძვ. სახელმწიფო; 77. დიდი გველი; 79. ფართო განათლების მქონე პირი; 81. შვეული №37-ის როლის შემსრულებლის გვარი; 83. თბილისის სადაზღვევო ფირმა; 84. ფრიად პოპულარული „საეპითეტო" ცხოველი; 85. უსმენო; 86. სიგრძის საზომი ერთეული; 87. დიდებული ქართველი მსახიობი, ბატონი ვახტანგი... 88. ყვავილი; 89. ნებართვა; 90. იაპონური სალექსო ფორმა; 91. განთიადი; 92. ქართველი მინისტრი შოთა...

**შვეულად:** 1. აშშ-ს ერთ-ერთი ექს-პრეზიდენტი; 2. ლიტვის ფული; 3. იგივეა, რაც ზარნაშო; 4. ადამიანთა „დაყოფის საზომი ერთეული"; 5. კეთილთვისებიანი სიმსივნის სახეობა; 6. ფრანგი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი; 7. მღვდლის სამოსელის ნაწილი; 8. ქართულ ენაში გავრცელებული ბერძნული სახელი; 9. კვერცხის გულის, ზეთის და ძმრის სოუსი; 10. ერთ-ერთი მუშკეტერი; 11. სამართავი პულტის ნაწილი; 12. საფრანგეთის ისტორიული ქალაქი და ოლქი; 13. ქართველი კომპოზიტორი; 14. თანამედროვე ფოტოგრაფიის „მამა"; 15. შუა საუკუნის ფრანგი პოეტი; 16. სპორტის სახეობა; 17. ბერძნული ანბანის ასო; 28. გეომეტრიული ფიგურა; 29. ეგზოტიკური ცხოველი; 32. ძაღლის სახელი; 34. დენის სახეობა; 37. რომან „ქარწაღებულნის" მთ. პერსონაჟის სახელი; 38. კ.-ფ. „უდიპლომო სასიძოს" პერსონაჟი; 39. იგივეა, რაც სადა; 40. რუს მეფეთა ხელისუფლება; 41. ძველი ქუთაისი; 43. სასახლე; 44. იაპონიის პრეფექტურა; 45. ლეგენდარული ფინელი მძლეოსანი; 48. თანამედროვე ქართველი პროზაიკოსი; 51. ჩემპიონთა „ბუდე"; 52. თარაზული №74-ის თანამედროვე ვარიანტი; 54. პაემანის სახეობა; 56. ძველებური ოქროს ფული; 58. სომეხთა სატიტულო წინსართი; 59. იაპონური თაიგულის შეკონვის ხელოვნება; 61. აშშ-ს შტატი; 64. თბილისის ერთ-ერთი ავიაკომპანია; 65. ძიძა; 68. მოდების ჟურნალი; 72. სოკოს სახეობა; 73. ციმბირის მთიანი მხარე; 75. რეზო ჭეიშვილის რომანი; 76. ნახვამდის! 78. ტაჯიკი მწერალი კლასიკოსი; 80. (ბატონი) ყაჭეიშვილი, ქართველი მწერალი; 82. გასროლის ხმა.




## ქართული კროსვორდი



**(ერთმა დიდმა რეჟისორმა თქვა: ნიჭიერ კაცს ტელეფონის წიგნიც კი შეუძლია სცენაზე წარმოადგინოს, როგორც პიესა. ჩვენ ნიჭიერებას არ ვიბრალებთ... უბრალოდ გვსურს დავამტკიცოთ, რომ აბსოლუტურად არაქართული სიტყვებისა და ცნებებისაგან შედგენილი კროსვორდი პირწმინდად ქართულ (ეროვნულ!) „ჯვარედ-ად" ვაქციოთ.**

**„კავკასიურ ცარცის წრეში" აზდაკი ამბობს: „თოკი კარგად მოქაჩე, სიმღერას უხდებაო!". ამ კროსვორდს კი (ჯვარედს!) სამწუხარო ირონია მოუხდება...)**

1. გაიხსენეთ ქვეყანა, რომელსაც მე-5-18 საუკუნეებში ვბაძავდით... ამ მიბაძვის დასტური კი გახლავთ თუნდაც №2 (შვ.) აქ ჩაშიფრული სიტყვა, რაც ჩვენს ენაში შემოჭრილი სპარსული ლექსიკის ერთი ნიმუში გახლავთ; 3. ახლა გაიხსენეთ ქვეყანა, რომელსაც განსაკუთრებული ინტენსივობით ვბაძავდით და სადაც ახლა სამუშაოს (ხელგაშვრილი!) დავეძებთ; 4. ამჯერად ის ქვეყანა გაიხსენეთ, რომელმაც თავად გვაიძულა მიგვებაძა მისთვის, რაკილა ჩვენში მიმბაძველობის უზარმაზარი ნიჭი აღმოჩინა (მე-19 ს.— დღემდე); 5. სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანას პრეზიდენტის ურთიერთხოცვაში მივბაძეთ; 6. ამ ჩრდილოკავკასიურ „სუბიექტს" უგუნურ დაუმორჩილებლობაში მივბაძეთ; 7. თუმცა სჯობდა, რომ ევროპის ამ სახელმწიფოსათვის მიგვებაძე გონიერებაში; 8. ან თუნდაც აზიის ამ სახელმწიფოსათვის — ერის გამრავლებაში; 9. ან ევროპის ამ სლავური სახელმწიფოსათვის — პროდუქტების წარმოებაში; 10. ან ამ არაბული ქვეყნისათვის აბეზარი ტურისტებისაგან სახელმწიფოს დაცვაში...)

კიდევ ვის ვბაძავთ

11. სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანას ნარკომანიაში... 12. აფრიკის ამ სახელმწიფოს (გულის?) ველურობაში... 13. იუგოსლავიის „ამ ნაწილს" სხვა ნაწილებთან ომში... 14. აშშ-ს „ამ მეზობელ" ქვეყანას რაინდობასა და მიჯნურობაში... 15. ამ შტატს სახელში... 16. ამ კამერუნელ ფეხბურთელს მინდორზე ცეკვაში...

რიტორიკული კითხვები:

17. იგივეა, რაც თქმულება, ოღონდ — ბერძნულად; (არ ვიყავი მართალი №3 კითხვაში?!); 18. იგივეა, რაც სამოთხე, ოღონდ — ბერძნულად. ( ხომ ვიყავი მართალი?! — გაფიცებთ „კროს-ფანტაზიას"!); 19. ერთ სიმღერაში ნათქვამია: თბილისი უქუთაისოდ ვერ იქნებაო... ჩვენს (ეროვნულ!) სინამდვილეში კი თბილისი (და საქართველო) ვერ იქნება... (ურისოდ?) (არა ვარ მართალი?!); 20. (სუპერკითხვა) მე მგონი, ვერ გამოიცნობთ, მაგრამ მაინც: გაიხსენეთ ქვეყანა (მისი მოკლე სახელი), რომელიც თანდათანობით ისეთივე მიბაძვის საგანი ხდება, როგორიც იყო №1, №3, №4 (თავის დროზე), (ვითომ ვარ მართალი?!); 21. რაც გაგიხარდებათ, ის ჩაწერეთ! 2. (თარაზულად) ესეც...!

**P.S.** უცხო ენების ცოდნა „მიმბაძველობის" თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალებაა!





თითოეული მინი-კროსვორდისათვის ცალკე კითხვები შევქმენით, ოღონდ, ერთი ინტრიგა მაინც ჩავდეთ და ეს იმაში მდგომარეობს, რომ ერთ-ერთი ვერტიკალის კითხვა „შეცდომით" ავურიეთ ამ მინი-კროსვორდებში. ვერტიკალებზე პასუხების ჩაწერისას ფრთხილად უნდა იყოთ, ნებისმიერი მათგანი შესაძლოა აღმოჩნდეს ისეთი, რომელიც მოსაზღვრე მინი-კროსვორდს ეკუთნვის (და პირიქით)

(ზემოთა კროსვორდი) **თარაზულად:** 5. მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი. 6. თხის ჯოგი. 7. კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი ტიტული. 8. რკინიგზის სადგური გორის სიახლოვეს. 10. მხატვრის სამუშაო ინვენტარი. 11. ნიანგის სახეობა.

**შვეულად:** 1. სტუდენტის დღიური. 2. იგივეა, რაც სალბუნი. 3. საგზაო გამაფრთხილებელი ნიშანი. 4. მდ. იუკონის მარჯვენა შენაკადი (კანადა). 9. იგივეა, რაც საძრახისი. 10. ყვავილი.

(ქვემოთა კროსვორდი) **თარაზულად:** 5. იტალიელი მწერალი და დრამატურგი, ლუიჯი... 6. ფართობის საზომი ერთეული. 7. ელექტრულად დამუხტული ნაწილაკი. 8. (ბატონი) იოსელიანი, „დაჩის ზღაპრების" ავტორი. 10. გერმანელი ქალბატონი ზოგადად. 11. მეფის რუსეთის სამაზრო პოლიციის დაბალი ჩინი.

**შვეულად:** 1. ჟოფრეი დე პეირაკის სამეკობრეო მეტსახელი (გაიხსენეთ „ანჟელიკას" სერიალი). 2. აირი. 3. (მისის) ჰეპბერნი (გაიხსენეთ „რომაული არდადეგები"). 4. ძველი თვითმფრინავების აუცილებელი ატრიბუტი. 9. ვისკის დასამზადებელი ნედლეული, გაღივებული მარცვლეული. 10. იგივეა, რაც შრე.

**ასოების ნაცვლად ჩასვით ციფრები (თითოეულ ასოს შეესაბამება ერთი ციფრი) და ამ „განტოლებას" დაუბრუნეთ პირვანდელი სახე.**

**ქმარი**
**+**
**ცოლი**
**———**
**ოჯახი**

## აჯაფსანდალი-7

გთხოვთ ეს სიტყვები პირვანდელი სახით აღადგინოთ

**თარაზულად:** 1. სლიბითი; 5. ვიტაშტი; 9. სინიგლი; 10. ჭრაპინა; 11. ზიონაქი; 12. არსეოწა; 13. ინიპაპი; 19. აპილოცი; 23. ბრეკანი; 24. სტიტოლო; 25. ნეცხობა; 26. არსელნე; 27. მინცუცა; 28. გაენირი; 29. კივანტი; 30. დალაინი; 34. კაემირა; 38. რილრეტი; 39. სენპადი; 40. ლეასისი; 41. შანიოსა; 42. ილიმაცი; 43. არტინია.

**შვეულად:** 2. ტინბადი; 3. ლოლინია; 4. ტიკსასი; 6. არტონდო; 7. კენარტი; 8. ვიმარია; 13. პიტიაცე; 14. ლავპატო; 15. ლუნარტი; 16. ლიანინი; 17. კიონავა; 18. ეგეგილა; 19. აპირეცი; 20. ძელენიო; 21. ცევანდი; 22. ბარაკია; 31. არსლენი; 32. ენფილდი; 33. არსინცი; 35. მელვახი; 36. კლაპირე; 37. ჯარკანი.

## მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი

მოლას ერთი მოზვერი ჰყავდა, ერთხელ მოზვერმა თოკი აიწყვიტა, გაიქცა და ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს რჩოლვა დაუწყო; მოლამ სახრე აიღო და მოზვრის მაგივრად ძროხას დაუწყო ცემა.

— მოლა, ძროხას რატომ სცემ? რა დაგიშავა? — ჰკითხა ცოლმა.

— მაშ არ იცი, რომ უწვრთნელი შვილის სასჯელს მშობელს გადაახდევინებენ? — უპასუხა მოლამ და ძროხის ცემა განაგრძო.

ერთხელ მოლას ცხარე ცრემლებით ატირებული ქრისტიანი დედაკაცი შეხვდა.

— დედი, რა დაგემართა, რა გატირებს?

— რა მატირებს? ერთი შვილი მყავდა და იმანაც მაჰმადიანობა მიიღო — შესტირა ქალმა.

— ვაი ჩემს დღეს! მე რა მეშველება, დედი, შვიდი შვილი მყავს და შვიდივე მაჰმადიანია.

მოლამ თავის ქალიშვილს წყლის მოსატანად სურა მისცა და ერთი-ორიც ლაზათიანად უთაქა, თანაც უთხრა, გაფრთხილდი, სურა არ გატეხოო.

საწყალი გოგო ცხარე ცრემლით ატირდა. ამის დამნახველი მეზობლები მისცვივდნენ მოლას და შერცხვენა დაუწყეს:

— უდანაშაულო გოგოს ტყუილუბრალოდ რადა სცემ?

— სანამ სურა არ გაუტეხია, უნდა იცოდეს ის სიმწარე, რასაც გატეხისას მიიღებს, ხოლო გატეხის მერე დასჯა გვიანი და უსარგებლოა.

ერთხელ მოლა მეჩეთის გვერდით იჯდა და გაფაციცებით ფლავს შეექცეოდა. ერთი გამვლელი შეჩერდა, ნერწყვი ჩაყლაპა და შეეკითხა:

— რას ჭამ მოლა?

— იმიტომ, — უპასუხა მოლამ და ჭამა განაგრძო.

— როგორ იმიტომ, — არ მოეშვა გამვლელი.

მოლამ ფლავის ჭამა დაამთავრა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და უპასუხა:

— შენ მკითხე რასა ჭამო, მე გეტყოდი ფლავს-თქო. შენ მეტყოდი მაჭამეო,

მე გეტყოდი არ გაჭმევ-მეთქი. შენ მეტყოდი რატომაო, მე გეტყოდი იმიტომ-მეთქი. და აი, ამიტომაც იმიტომო — აუხსნა მოლამ.

როდესაც ნასრედინმა მოლობა მიიღო და მრევლი გაიჩინა, მეგობრებმა ჰკითხეს:

— ნასრედინ, მაინც რად გინდოდა მოლობა?

— ჩემმა პაპის პაპამ მიანდერძა, რომ ჩემი სიცოცხლე ზარმაცობასა და მუქთახორობაში გამეტარებინა — მიუგო მოლამ.

# კროუფ(ვ)ორდი

ეს, რა თქმა უნდა, კროსვორდის ახალი ტიპი არ გახლავთ, ისევე, როგორც არაფერი ახალი არ არის იმ ნაირგვარ „ვორდებში“, რომელთაც წინ რაიმე, „კროს“-ისაგან განსხვავებული, სიტყვის დასმით ახალი არაფერი ემეტებით. არა, მართალია, ჩვენ ერთ ბუნებრივ-ორგანულ სიტყვაში მხოლოდ „ვ“ ჩავამონტაჟეთ, მაგრამ ახალი მაინც არაფერია — სიტყვები ისევე ეჯვარებიან ერთმანეთს, როგორც იმ არსებულ კროსვორდში, ვინმე ვიქტორ ორ-ვილემ (ამბობენ, რომ იგი ქართველი იყო, აპა!), რომ შექმნა პატიმრობისას...





საქმე იმაშია, რომ ჩვენ დიდი ხანია გვწადია თემატური კროსვორდების (ჯვარედების) შექმნა და განსაკუთრებით ქალების თემა გვაღელვებს (მთელი თავისი მრავალფეროვნებით) და ამიტომ გამოვძებნეთ ისეთი ქალი, რომელშიც უმტკივნეულოდ... უკაცრავად, რომლის გვარშიც, აი, ამ „ვ“-ს ჩამონტაჟებით რაღაც იდუმალება შევქმენით. საეროდ კი უნდა ითქვას, რომ ოქტომბრის მეორე ნახევარში ქართული პრესა მშვენიერი სინდის ფოტოებით ისე იყო აჭრელებული, რომ კაცი იფიქრებდა, ჩვენმა (თავისუფალმა) გაზეთებმა, რუსულის გარდა, ინგლისურენოვანი პრესის გადმოთარგმნაც დაიწყესო... იმედია, ისინი მალე დაიწყებენ ამას და ჩვენს (ორიგინალურ) პრესას ორი-სამი ათეული ახალი გაზეთი მაინც შეემატება, მანამდე კი მივხედოთ ჩვენს „კროუფ(ვ)ორდს“.

**თარაზულად:** 6. აქ სინდის „კოლეგა“ და კონკურენტია წამოდგენილი, რაღაც პროიტალური გვარით. 7. პარიზის ამ მდინარეში მრავალ უიღბლო მიჯნურს დაუხრჩვია თავი. 8. აი, ამ სიმღერის სახელს კი მაშინ გაიხსენებთ, როცა შვეული № 51 ჩაიწერება თავის ადგილზე. 11. ისევ პარიზის თემას მივუბრუნდეთ და გავიხსენოთ მომღერალი, რომელიც 42 წლის ასაკში ქალების სიყვარულმა პერ-ლა-შეზის სასაფლაოს მიაბარა. 12. ეს იტალიელი კინორეჟისორი კი, გვარად დე სიკა, ასევე დიდი „აშიკბაზი“ ყოფილა... ხომ არ გახსოვთ, რა ერქვა მას? 16. ახლა იმ უმშვენიერესი ქალის სახელი გაიხსენეთ, რომლის გვარი ორიგინალში „ბეისინგერი“ გახლავთ. 17. ჯადოქრობა, მაგია (შავი თუ თეთრი), გრძნეულება... ესეც რაღაც ამგვარი სიტყვა გახლავთ და მის „მარწუხებში“ ხშირად ვარდება უიღბლო შეყვარებული. 18. (გარწმუნებთ, რომ გსმენიათ ამ სომეხი ქალის სახელი, რომელსაც ეძღვნება) არამ ხაჩატურიანის ბალეტი. 19. აი, ამ ქალბატონს კი ყველა იცნობს, რადგან იგი პიეროს სატრფო, ბურატინოს აღმზრდელი და არტემონის პატრონია (ვერ მიგახვედრეთ?!). 27. ეს მსახიობი ქალი კი ბავშვობისას რადიოლას იპარავდა (ფილმში) საკუთარი სახლიდან და მისი გვარი თბილისის მეტროპოლიტენის ერთ-ერთ სადგურს მიეკუთვნა. 28: რა პოეტური ხერხია ეს: ინგა-აგნი, ანანო-ონანა, (შეადარეთ: აირევი-ივერია). 30. ქალი დაქალებამდე გოგონაა, ქათამი დაქათმებამდე რა არის? 32. ახლა ყველაზე პოპულარული მეეზოვე ქალი გაიხსენეთ (სიმღერიდან). 33. ამბობენ — რაღა ქალის გული დაგიპყრია და რაღა „ეს უმაღლესი მთათა სისტემაო!“. 34. (მაგრამ ჩვენი ქალები მაინც „ასწორებენ“ ჰრა) საახლწლოდ თაფლისა და ნიგვზის ნარევს რომ ტკეპნიან, აბრტყელებენ, ასწორებენ და... რა გამოდის? 35. რა ჰქვია თარაზულ № 6-ს? 36. გურამ ფანჯიკიძის ერთი რომანის გმირის გვარი გაიხსენეთ...იგიც ბატონებო (ავტორის წყალობით) დიდი „აშკბაზი“ ვინმე იყო. 37. ისევ სინდის მივხედოთ და მისი კიდევ ერთი კოლეგა-კონკურენტის სახელი გავიხსენოთ. 40. (ბატონი) დადიანი... ფოტოებზე ისეთ ბუმბერაზი იერი აქვს, რომ ცხოვრებაში რომელი ქალი არ მოიხიბლებოდა მისით?! 41. მსოფლიო საოპერო ხელოვნების ერთი ბუმბერაზთაგანი, მთ. როლის შემსრულებელი ფილმში „დიდი სიყვარულის სერენადა“. 42. ხე, რომელიც ყველაზე კარგად იწვის... (უიღბლო შეყვარებულივით?!). 45. „წყნარი დონის“ პერსონაჟი ქალი, რომელიც ფილმში დიდებულად ითამაშა ელეონორა ბისტრიცკაიამ. 46. (ქალბატონი) ელიავა, ქართული კინოს მშვენება. 48. შვეული № 51-ის ქალიშვილი. 49. კომუნისტები ერთ კაცს აქებ-ადიდებდნენ (სახელად მიხაკოს)... დიდი ორგანიზატორი იყოო საკოლმეურნეო საქმის! თუ გახსოვთ, რა გვარი გახლდათ იგი? 50. ბერძნული მითოლოგიის ქალწული, რომელიც პერსევსმა იხსნა ურჩხულისაგან... მისი სახელი, სხვათა შორის, ერთ თანავარსკვლავედს დაერქვა. 55. ჩაპაევის „პულიმიოტჩიცა“ ქალი (ანეკდოტებში მის საყვარლობასაც მიაწერენ). 56. კეკელას კოლეგა, რომელიც (ასევე) „ზემოდან მოდიოდა“ (სიმღერაში). 57. სიშიშვლისა და სიყვარულის დემონსტრირება. 60. ამერიკელი ვირთხა, რომლის ბეწვისაგან შეკერილ ქურქს ყველა ქალი ნატრობს. 61. კაცობრიობის ისტორიის უწმინდესი და უქალწულესი დედა. 62. „თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან...“ (რა რიტუალური აქტია აქ ნაგულისხმები?). 67. (ქალბატონი) ტერეშკოვა, პირველი კოსმონავტი ქალი. 68. გეოგრაფიული პუნქტი ქვემო ქართლში, რომელიც შუშანიკის სახელს უკავშირდება. 69. ერთ ფრიან გამოთქმაში ხარ ნიკორას „ასეთ“ ეპითეტს ურთავენ წინ. 70. (ქალებთან დაკავშირებით ვერაფერი გავიხსენეთ და ) გთხოვთ, იტალიის საფეხბურთო კლუბი ჩაწეროთ აქ (ამ ერთხელ გვაპატიეთ!). 71. ანა კარენინას საყვარელი რა გვარი იყო? 72. შვეული № 36-ის მუდმივი პარტნიორი (და საყვარელი) ფილმებში... ანუ მისი სახელი? 73. ქალბატონი სესილიას ერთი უკანასკნელი კინოროლი. 74. კლდიაშვილის პიესის „ბედნიერი ქალი“. 75. იტალიური ესტრადის ერთ დროს პოპულარული (პორნო) მომღერალი.

**შვეულად:** 1. კაცობრიობის ისტორიის პირველი (და უკანასკნელი) სამოთხელი ქალი. 2. როგორი აღნაგობის უნდა იყოს მამაკაცი, ქალს რომ ერთის ნახვით შეუყვარდეს? (ეს, რა თქმა უნდა, თეორიების სფეროდან წამოსული კითხვაა!) 3. ბანქოს „ეს“ ქაღალდი ქალივითაა.. ან აგაშენებს, ან დაგაქცევს. 4. ქალაქი, სადაც შვული № 25-ის მოქმედება მიმდინარეობს. 5. რა გვარია ის რუსი მსახიობი ქალი, რომელმაც პიპინიას ხუთი შვილიშვილი გაუჩინა? 9. გაიხსენეთ ქვეყანა, რომელიც 4 ზანგი მომღერალი ქალის (და ერთი კაცის) სამშობლოა ... („ბონი ემ„-ზე მოგახსენებთ). 10. აწგარდაცვლილი ბულგარელი გრძნეული ქალი. 13. „ქალბატონი“ ვენერას (პლანეტის) ძველი სახელი. 14. სისხლისმწოველი არსება (იგულისხმება კონკრეტული ცნება და არა ზოგადად ქალი). 15. რა ჰქვია იმ კინოსცენიურ ჟანრს, რაც აგრერიგად ხელეწიფებათ მექსიკაში (ჩვენდა გასახარად)? 20. (სატრფოსათვის შესრულებული ლირიკულ-ნოსტალგიური სიმღერა. 21. კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უიღბლო შეყვარებული გოგონა. 22. ვინ იყო პატარა ანა დიდი ანასთვის (ორივე ერთად ბესარიონ გაბაშვილს რომ ეტრფოდნენ?) 23. სადაური საქონლის (თურქულთან ერთად) ჩამოტანა ხელეწიფებათ ჩვენს ქალებს? 24. მაისის ულამაზესი ყვავილი. 25. ბერნარდ შოუს პიესა მეყვავილე გოგონას შესახებ. 26. იგივეა, რაც უხეში, ავყია ნათქვამი. 29. შვეული № 21-ის მიჯნურის მეგობარი. 31. სუმბათაშვილის პიესა „ღალატის“ მთ. პერსონაჟი ქალი. 36. იტალიური კინოს განუმეორებელი „კავალერი“. 38. ვინ იყო ვარდისახარი მეფე გიორგისთვის? 39. ფრანგი კომპოზიტორი, რომელიც ერთ ქართველ მომღერალ ქალბატონთან ერთად მშვენიერ სიმღერებს ქმნის. 43. (ქალბატონი) უკრაინკა, საქართველოში დაკრძალული უკრაინელი პოეტი. 44. დედოფალი, რომლის სახელი ბაბილონის მითიურ ბაღებს ეწოდა. 45. „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას...“ (ავტორის სახელი). 47. თარაზულად № 70-ისა არ იყოს, ისევ იძულებულნი ვართ იტალიურ ფეხბურთს მივმართოთ და მისი ერთი წარმომდგენელი გავიხსენოთ. 49. კაცობრიობის ისტორიის ყველაზე ერთგული დობილი (ერთი ზღაპრიდან). 50. ანსამბლი, სადაც ერთ დროს დიდებული ნანი ბრეგვაძე მღეროდა. 51. „ბარისოვნა“ — ამით ყველაფერი ნათქვამია! 52. ქართული ლიტერატურის ყველაზე ცნობილი „თავადის ქალი“. 53. ქალ-ვაჟის ურთიერთშეხების სახესხვაობა. 54. სვეტლანა ალილუევას მამა. 57. ივდითის მიჯნური, ურიელ... 58. შვეული № 10-ის ლიტერატურული კოლეგა გრძნეულების დარგში... ინდოეთიდან. 59. ქალის სახელი, რაც ბერძნულად ნიშნავს „უმანკოს“ ლათინურად კი „კრავს“ (გადამკვეთი სიტყვები ჩაწერეთ და „გაგახსენდებათ“). 61. იგივეა, რაც ფაეტონი. 63. გამარჯვების ღმერთქალი. 64. კ.-ფ. „სამი სიცოცხლის“ პერსონაჟი ქალი, რომელსაც ნატო ვაჩნაძე ასახიერებს. 65. ქართველთა განმანათლებელი. 66. პოეტი, რომელსაც ეკუთვნის თარაზული № 62-ის ციტატა. 68. იგივეა, რაც იალქანი.

ი/ს – «ფანტაზია»

რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ, №7/1-1811

გამომცემელი ალექსანდრე ელერდაშვილი

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ელერდაშვილი